

საქართველოს კანონი

“ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

“ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ” საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი I № 11, მუხ. 97) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი მუხლის “ე” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია (შემდგომში – ადმინისტრაცია) – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც ტრანსპორტის სფეროში ახორციელებს ამ კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს;”.

2. მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ტრანსპორტის სფეროს სახელმწიფო მართვას ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო).”.

3. მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ადმინისტრაციის დებულებასა და სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი.“.

4. მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. ადმინისტრაციის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის წარდგინებით.”.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი